KA020103009255212

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax.: (+995 32) 921534

№ 13/7074

29 / მარტი / 2012 წ.

შპს „აკად. გრ. მუხაძის სახელობის
ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის
ცენტრი"-ს /ID 404413005/ დირექტორს ლიანა
ჭუმბურიძეს
ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის 36

ქალბატონო ლიანა

თქვენი 2012 წლის 21 მარტის წერილის (სამინისტრ. რეგ №12498/12) პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრი"-ს /ID 404413005/ მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2012 წლის 20 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანზე (მიწის /უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი 01.17.13.001.113; - წინანდლის ქუჩის N9-ში მდებარე 2944 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობები N1; N2; N3; N4 და ნანგრევები), ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის, 3.1 პუნქტის, 3.1.2 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულების მიზნით, ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის განხორციელების თაობაზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება N 57) უნდა მიმართოთ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის დეპარტამენტი, დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი შანიძე